# სახალხო გაზეთი

№ 274 ხუთშაბათი, 7 აპრილი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 274

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სრამბა „სორაპან"-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპოდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12

ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети" п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## „სახალხო გაზეთი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთის გზავნა შეჩერებულია.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. მ. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

## ქართული თეატრი

ორშაბათს, 11 აპრილს 1911 წ. ქართული თეატრის მსახიობი

შაქრო საფაროვი

გამართავს ქართულ წარმოდგენას. წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული ტრაგედია

### დიდი მოურავი

5 მოქმ. და 17 სურათად თხ. ან. ფურცელაძისა.

მონაწილეობენ ქ-ნნი: ვიქტორელი, კარგარეთელი, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, არადელი, გრიშაშვილი, გუნია, გამყრელიძე, გვარამე, ივანიძე, ჟუჟიძე, ზარდალიშვილი, მდივანი, მატარაძე, მამფორია, საფაროვი, ციციშვილი, შალიკაშვილი და სხვანი.

ამავე პიესაში ქართული ხორო შეასრულებს სხვა და სხვა სიმღერებს.

ადგ. ფასი 30 კ. 2 მ. 50 კ.-მდე. დასაწყისი სად. 8 ს. მზადდება წარმოსად. ახალი პიესა „ცხოვრების გარშემო", „მსხვერპლი", „ქეთევან წამებული". (4—1217—2)

## გოლოვინის პროსპექტი ცირკი—სპორტი

11 აპრილს, 1911 წ. გაიხსნება საერთაშორისო ჩემპიონატი ფრანგულის

### ჭიდაობისა

ყველა ქვეყნების პროფესიონალურ ფალავნებისა. დირექციამ მოიწვია ცნობილი ფალავნები პეტერბურგიდან, მოსკოვიდან, პარიზიდან, ბერლინიდან, ანტვერპენიდან, ვენიდან, პრაგიდან, ამსტერდამიდან, ჰამბურგიდან და ლონდონიდან. სიას ამ დღეებში გამოვაქვეყნებთ. ჩემპიონატის ხელმძღვანელად მოწვეულია ცნობილი არბიტრი ატლეტიკის პროფესორი ივანე ვლადიმერის ძე ლებედევი (ბიძია ვანო). მონაწილეთა ჩაწერა გრძელდება. (2—1216—2)

## ქართული თეატრი

შაბათს, 16 აპრილს,

### ი. გრიშაშვილი

ქართველ მწერალთა დახმარებით და ბარბარე რონელისა და ოლგა ლეჟავას მონაწილეობით დასდგამს ქართულ წარმოდგენას:

წარმოდგენილი იქნება ალ. სუმბათაშვილის ცნობილი პიესა:

### „ღალატი"

ისტ. ლეგენდა 5 მოქმ., თარგ. გრ. ყიფშიძისა.

მონაწილეობას მიიღებენ:

ბ. რონელი—ზეინაბი.
ნ. კონსიოტი—რუქაია.
ოლ. ლეჟავა—გაიანე.
განდეგილი—ისახარი.
ბ. კორინთელი—მაიკო.
ალ. ჟანჩელი—სოლეიმან-ხანი.
ი. მაჭავარიანი—ოთარ-ბეგი.
გრ. ყიფშიძე—ანანია გლახა.
ი. ელეფთერაძე—დათო.
სგ. ყიფიანი—ერეკლე.
დ. ნაზუცრიშვილი—საბა-ბერი.
სოფ. მგალობლიშვილი—ბესო.
დ. დუმბაძე—ყარა-უსუფი.
ქ. თუმანიშვილი—ალ-რაზაკი.

ადგილ. ფასი საბენეფისო. ბილეთები ისყიდება თეატრის კასაში. დასაწყ. სად. 8 ს.

მთავარი რეჟისორი ვ. გუნია. სამხატვრო ნაწილის გამგე ი. ნიკოლაძე.

ადმინისტრატორი პართენ გოთუა. (7—1218—1)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიყრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაკვეთებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდის. (წ.—1147—20)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის" სასტუმროსთან.

ტელეფონი № 590.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეს და ღამეს.

ამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ბედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. $10^1/_2$—11 ს.

დავითიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

კარშინი ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა $2^1/_2$—$3^1/_2$ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12 ნახ.—1 ს.

ტრემბოვსკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფარადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს. დროებით წასულია.

პაპოვი ვ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—$2^1/_2$ ს.

ხოშოლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სულავოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606"-ით

Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსილიუმ., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეკითხვით. სადღასამზირით. (წ.—1089—437)

## გაზეთების მგზავნელი ბიურო

რომელშიაც შედიან შემდეგ გაზეთების და ჟურნალების რედაქციები: „სახალხო გაზეთი", „ახალი საქმე", „სინათლე", „ზაკავკაზსკაია რეჩი", „ჰორიზონი", „სურანდაკი", „ცხოვრება და ხელოვნება", „სალამური", „ხათაბალა", ჰყავთ აგენტები: ბათუმსა, სოხუმსა, ფოთსა, ოზურგეთსა, ხონსა, ქუთაისსა, ჭიათურასა, გორსა, ბაქოსა, მიხაილოვსა, ჩოხატაურსა, სამტრედიასა, ყვირილაში, ზუგდიდში, ლანჩხუთში, სუფსაში, სენაკსა, სიღნაღში და თელავში.

საჭიროა აგენტები: განჯისა, ყარსისა, გუმბრისა (ალექსანდროპოლი), ნოვოროსიისკისა, ეკატერინოდარისა, ნუხისა, შემახისა, კავკავისა, არმავირისა, დონის-როსტოვისა, ჯულფისა, დერბენდისა.

მიჰმართეთ ერასტე დავითის ძე გორდელაძეს შემდეგის ადრესით: ტფილისი, ერევნის მოედანი, სახლი ხარაზოვისა.

## გამოვიდა და იყიდება არჩილ ჯორჯაძის

თხზულებათა პირველი წიგნი:

„ეროვნულ პრობლემის გარშემო".

ხელის მომწერთ უნდა მიჰმართონ წიგნის მისაღებად საცა ხელი მოაწერეს. გასაყიდათ წიგნი ღირს 75 კ. (280 გვ.).

ტფილისში წიგნები იყიდება წერა-კითხვ. საზ. მაღაზიაში და „ახალი სიტყვა"-ს („Новая Рѣчь") წიგნის მაღაზიაში, სახაზინო თეატრის პირდაპირ. ქუთაისში: მთავრიშვილის წიგნის მაღაზიაში. (8—8)

## ამხ. „სორაპნის" გამომცემლობა

სთხოვს აგენტებს ხელის მომწერლების ფული „დრამებსა და კომედიებზე", გამოგზავნონ აუცილებლად 8 აპრილამდის—წინააღმდეგ შემთხვევაში, ფული ხელის მომწერლებისა აღარ იქნება მიღებული. (2—2)

## ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

### საბუღალტერიო კურსები

### გ. გ. გიგინეიშვილისა.

კურსებზე სწავლა დაიწყება ამა წლის 18 აპრილიდან და გაგრძელდება ათ თვეს. სავალდებულო საგნები: 1. ბუღალტერია (უბრალო, იტალიური, საბანკო და საფაბრიკო-საქარხნო). 2. კომერციული არითმეტიკა. 3. პოლიტიკური ეკონომია. 4. კანონები (სავაჭრო უფლება, საველსილო წესდება). 5. კომერციული კორესპონდენცია. 6. კალიგრაფია, სწორი წერა. (ხელის გასწორება).

კურსებზე მიიღებიან როგორც ვაჟები, ისე ქალები ოთხი კლასის მოწმობით (გიმნაზია, საქალაქო თუ სასულიერო სასწავლებელი). კურსის დასრულების შემდეგ მოწაფეებს ეძლევათ ატესტატი.

(10—1215—2) კურსების დირექტორი გ. გიგინეიშვილი.

კვირას, 17 აპრილს, დილის 11 საათზე ტფილისის საურთიერთო ნდობის სამეურნეო საზოგადოების სადგომში (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი) დანიშნულია წლიური კრება

### ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგადოების წევრთა

განსახილველად: ა) 1909 და 1910 წლების ანგარიშისა, ბ) გამგეობის და სარევიზიო კომისიის მოხსენებათა, გ) შემოსავალ-გასავლის სავარაუდო აღრიცხვისა 1911 წლისათვის და დ) ასარჩევად საზოგადოების თავმჯდომარისა, გამგეობის და სარევიზიო კომისიის წევრებისა და საზოგადოების ახალის წევრებისა. (4—1220—1)

ცნობილი ძველ ხარისხოვანი ფირმა ჭიის თესლისა

### ს. ხრისტოდულიდისი

აცნობებს მეაბრეშუმეთ, რომ მთელს ამიერ-კავკასიაში ჩემი ერთად-ერთი წარმომადგენელი

ი. გოკიელოვი და შვ.—ბის, სავ. სახ. ქუთაისში

და მათი აგენტი სტეფან დავიდიანი ტფილისში (ქსენიას ქუჩა № 6, სახლი გოკიელოვისა) ჩემის ჭიის თესლს იკვეთავენ. ვინც თესლს თავის დროზე იყიდის ნაკლებ ფასად დაეთმობა. (30—1114—25)

ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულების

### სააავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

### ივ. ბოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

იქვე წამლობენ სიფილისს პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606". (30—405—80)

ექიმი ქუთაისში, ს. ი. ვოლოხი

კათოლიკების ქუჩა N 33.

საზღვარ-გარეთიდან დაბრუნებისას იწყებს სიფილისის მკურნალობას 606 პრეპარატით ერლიხ ხატა. სიფილისის სისხლის გამოკვლევა ვასსერმანისებურათ საგანგებოთ მოწყობილ ლაბორატორიაში. წამლობა აგრეთვე პელაგრიანისა და სამაწვილოსა სხვა და სხვა ტუბერკულინებით (ყოველ კვირა ახალ-ახალი პრეპარატებით). ბ.ბ. ექიმებს, როგორც ადგილობრივთ აგრეთვე ქალაქ გარეთელებისთვის, მოთხოვნისათანავე ეგზავნებათ საგანგებო შესაზავებში სტერილიზაცია გაკეთებული ეპრუვეტები სისხლის გამოგზავნისთვის ვასერმანისებურათ გამოსაკვლევად. (56—1078—34)

ექიმი ე. ი. მინასიანცი. შინაგან, ბავშვთა, კუჭისა და ნაწლევ. სნეულებათა, პარიზელ პროფეს. Mathieu-ს სპეციალურ კლინიკიდან. ღებულობს დილის 9—11 ს.-დე და საღამოს 6—7 საათამდე.

ელისაბედის ქუჩა, N 39 ტელეფონი N 1067. (100—1117—40)

ექიმი შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.

ექიმი ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—350

ექიმი ჟაფარიძე ქ. ქუთაისში

ურჩევს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (თ.—188—42)

ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო

### მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., კვირაობით კი მხოლოდ საღამოთი 6—7 საათამდე გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—6.—91)

ვაგზლის კერძო

### სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. ვაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. $11^1/_2$—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხოშოლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

წამლობა „606"-ით. (შო.—1090—33)

ექიმი ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. ჰიროჩნის ქ., № 9. (უ)

ექიმი კბილისა ალ. სოლოლაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. კოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

ექიმი ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი ჯაბაშვილისა. (უ)

ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე იღებს ავადმყოფთ დილით 9—2 საათამდე. საღამ. 5—7 საათ. იზმაილოვისა ქ. N2.

ხუთშაბათს, 7 აპრილს, საღამოს 7 საათზე,

მოხდება კრება „ახალი კლუბის" წევრთა

სამეურნეო ბანკის დარბაზში, სასახლის ქუჩაზე, ზ. სარაჯიშვილის სახლში. (1—548—1)


## ტფილისი, 7 აპრილი

**შეკითხვის გარშემო.** უცნაური ქვეყანაა რუსეთი. უცნაური ამბებიცა ხდება. დღეს არავის არ შეუძლიან დაბეჯითებითა სთქვას, რომ ხვალინდელი დღე რაიმე მოულოდნელ ამბავს არ მოგვიტანს. დიდი ხანია პროგრესიულმა პრესამ აღნიშნა, რუსეთი ყოველგვარ მოულოდნელ ამბების ქვეყანა არისო. განსაკუთრებით ნათელი და ცხადი გახდა ეს მას შემდეგ, რაც რუსეთში კანონმდებლობა ხალხის წარმომადგენლებს ჩააბარეს. რუსეთის კონსტიტუციონალიზმიც არაჩვეულებრივია. იგი სრულიად არა ჰგავს იმ კონსტიტუციონალიზმს, რომელსაც დასავლეთი ევროპა იცნობს. რუსეთის კონსტიტუციონალიზმი განსაკუთრებული რუსულია, იგი სინტეზია ბიუროკრატიზმისა და სახალხო წარმომადგენელთა კანონმდებლობისა.

ვერ ვიტყვით, რომ სახელმწიფო სათათბირო საკმაო საკანონმდებლო უფლებებით არ იყვეს აღჭურვილი. მართალია ბიუჯეტის თვალსაჩინო ნაწილი გარდუვალის კედლითაა შეზღუდული, მაგრამ საკანონმდებლო დაწესებულებებს მაინც ფართო ასპარეზი რჩებათ საკანონმდებლო ინიციატივის გამოსაჩენად. სათათბიროს მოკლე ისტორია გვიჩვენებს, რომ მან ერთხელაც ვერ ისარგებლა ამ ინიციატივით. ამიტომ სათათბირომ და განსაკუთრებით კი მისმა ხელმძღვანელმა პარტიამ ძალიან შეუწყო ხელი მთავრობას ნაციონალისტურ პოლიტიკისა და რეაქციის გაძლიერებაში. ყველა ეს მართალია, მაგრამ ესეც რომ არ ყოფილიყო, მაინც არავისთვის საიდუმლოებას არ შეადგენს ის გარემოება, რომ მთავრობა და განსაკუთრებით კი მისი ხელმძღვანელი პრემიერი სრულის უყურადღებობით მოეკიდებოდა საკანონმდებლო დაწესებულებებს.

ეს გარემოება ცხადჰყო უკანასკნელმა ამბებმა. კანონ-პროექტის 87 მუხლის წესით დამტკიცებით სტოლიპინმა სრული უყურადღებობა გამოიჩინა საკანონმდებლო დაწესებულებებისადმი. მართალია თავის სიტყვაში იგი ამტკიცებდა, ეს ასე არ არისო, მაგრამ ამ სიტყვებმა საბჭოს მემარჯვენე წევრებიც კი ვერ დააჯერა. და არც შეიძლებოდა დაეჯერათ, რადგანაც სინამდვილე სრულიად სხვას ამბობდა.

უყურადღებობა გამოიხატა იმაშიაც, რომ სტოლიპინმა თავისი განმარტება მისცა ჯერ სახელმწიფო საბჭოს, თუმცა შეკითხვა სახელმწიფო სათათბირომ უფრო ადრე შეიტანა. ეს ფაქტიც ნათლად ამტკიცებს, რომ სტოლიპინს ამოძრავებდა არა თავის დაცვა საკანონმდებლო ორგანოთა წინაშე, არამედ დამტკიცება თავის სიმართლისა რამდენიმე ჩინოსანის წინაშე, რომელნიც სახელმწიფო საბჭოში სხედან...

შეკითხვას არავითარი ფაქტიური შედეგი არ მოჰყვება. საბჭო მართალია არ დაკმაყოფილდა სტოლიპინის განმარტებით, მაგრამ ეს უკმაყოფილება ისეთის სახით იყო გამოთქმული, რომ კრიზისს ვერ გამოიწვევდა. მართალია ეს, მაგრამ საბჭომ მაინც თავისი ცხადი უმრავლესობით, გააგებინა სტოლიპინს, რომ საბჭოს მისი მოქმედება არ მოსწონს. უეჭველია ასეთსავე პასუხს მიიღებს სტოლიპინი სახელმწიფო სათათბიროსაგან. სხვა ქვეყნებში, სადაც პარლამენტარიზმი არსებობს, ასეთი უკმაყოფილება ორი პალატისა კაბინეტის გადადგომას გამოიწვევდა. ჩვენში „ღვთით", პარლამენტარიზმი არ არის, და ამიტომ ასეთი ბოლო მოსალოდნელიც არ უნდა იყოს. მიუხედავად ამისა, მაინც ფრიად საყურადღებო პერსპექტივა იშლება. სტოლიპინს მუშაობა აუტანელს პირობებში მოუხდება. შეუძლებელია მინისტრისთვის მუშაობა მაშინ, როდესაც ორივე საკანონმდებლო ორგანოს უმრავლესობა მისი წინააღმდეგია. მიუხედავად ამისა სტოლიპინს მაინც შესაძლებლად მიაჩნია მუშაობა. ოფიციოზური „როსია" სწერს, შეკითხვის ავტორებს ტყუილად ჰგონიათ, რომ ამნაირის წესით პარლამენტარიზმს შემოიღებენ რუსეთშიო. ამით ოფიციოზს მხოლოდ ის უნდა სთქვას, რომ საკანონმდებლო ორგანოთა უკმაყოფილება მინისტრის გადადგომას რუსეთში არასოდეს არ გამოიწვევსო. უოფიციოზოდაც ეს ცხადი იყო, მაგრამ როდემდის შეიძლებს სტოლიპინი მუშაობას ეხლანდელს პირობებში, რომელნიც შემდეგშიაც უმზადებენ კონფლიქტებს საკანონმდებლო დაწესებულებებთან? ან იქნება იმისი იმედი აქვს, რომ სათათბირო და საბჭო ბოლოს უკან დაიხევს? მაგრამ რატომ არ უნდა ჰქონდეს ამის იმედი? საბუთი არ მიუციათ თუ?

## სახელმწიფო საბჭო

**აკიმოვი თავმჯდომარეობს.**

სახელმწიფო მდივნის ამხანაგი უმაღლეს ბრძანებას კითხულობს სახელმწიფო საბჭოს წევრის გონჩაროვის ავად-მყოფობის გამო დათხოვნის თაობაზე და მეფის მიერ 5 აპრილს 1911 წლის ხარჯთ-აღწერის კანონ პროექტის დამტკიცებაზე.

**თავმჯდომარე.** საბჭოდან გონჩაროვის გასვლა ყველა წევრებს დაადონებს, რადგანაც ერთ-ღირსეულ წევრთაგანსა ვკარგავთ, მცოდნეს, იურიდიულ პრაქტიკით აღჭურვილს, ყოველმხრივ ჩინებულ ადამიანს, რომელმაც თავის გულში პატიოსნების მიუწდომელი გრძნობა, სამსახურის მოვალეობათა და საკუთარ ღირსების გრძნობანი განავითარა. ამისათვის წინადადებას იძლევა გონჩაროვს საბჭოდან გასვლის გამო თანაგრძნობა გამოუცხადონ და ვუსურვოთ, რომ მალე გაჯანსაღებულიყოს.

ხმები: „გთხოვთ“.

ფინანსიურ კომისიის მოხსენებით, უკამათოდ ღებულობენ 1884 წ. 5% ოქროს რენტის გამოსასყიდ კანონ-პროექტს, რომელიც სათათბირომაც მოიწონა, აგრეთვე მოსკოვ-იაროსლავის რკინის გზის 5% ობლიგაციებისა და ოთხს სხვა წვრილმან კანონ-პროექტს. მიღებულია, მათ შორის, 1911 წ. უძრავ ქონებაზე გამწერილი კანონ-პროექტი ქალაქებსა, დაბებსა და სოფლებში.

გარეშეთა დაუსწრებლად, საფინანსო კომისიის მოხსენებით სათათბიროს მიერ მოწონებულ კანონ-პროექტი მიიღეს: ჯარის სამხედროსათვის პატრონების შესაძენად თანხის გადადებისა, სამხედრო სამინისტროს საიდუმლო ხარჯებისა, კრონშტატის ციხე-სიმაგრის სანაღმო ქონების შენახვისა, არტილერიის ნივთიერ მხარის შევსებისა და სახელმწიფოს დაცვის გაუმჯობესობისა.

შემდეგი სხდომა 20 აპრილს მოხდება.

# ახალი ამბები

### ტ ფ ი ლ ი ს ი

✦ როგორც გავიგეთ, კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე **სენატორი ვატაცი** პეტერბურგიდან ტფილისში ჩამოვა პარასკევს, 8 აპრილს.

✦ როგორც გადმოგვცეს, ტფ. ქართულ გიმნაზიის მასწავლებლად ნამყოფს ნ. გ. გოგიტიძეს ადესის ერთ-ერთ სავაჭრო გიმნაზიაში მასწავლებლად ჰნიშნავენ.

✦ როგორც ვწერდით, ფოსტა-ტელეგრაფის მთავარმა სამმართველომ წელს 15,000 მან. გადასდო ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მოხელეთათვის **სააღდგომო საჩუქრად** დასარიგებლად. აქედან ოლქის უფროსმა 1,500 მან. ტფ. ცენტრალურ ფოსტის მოხელეთათვის გადასდო, ხოლო 2,500 მან. ტელეგრაფის მოხელეთათვის.

✦ **ძველი ტანისამოსის ვაჭრებს** ნება მიეცათ ნერსესოვისა და რუსის ქუჩის კუთხეში მდებარე მოედანზე 18 აპრილამდე ივაჭრონ.

✦ გუშინ ქალაქის **სასანიტარო კომისიამ** ქალაქის მესამე უბანში საკანდიტეროები და თევზის სავაჭროები დაათვალიერა. ყველგან შესაფერი განკარგულება იქმნა მოჰხდენილი.

✦ 5 აპრილს **უეცრად გარდაიცვალა** ტფილისის მოქალაქე პავლე კუზმის ძე პიპტიევი. როგორც გამოირკვა, განსვენებული ლოთობას მისდევდა. გვამი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს.

✦ **ქალაქის საბჭოს** ხმოსანთა შემდეგი კრება 18 აპრილს მოჰხდება.

✦ 12 აპრილს ტფილისში ჩამოვა ბაქოს ნავთის მრეწველთა **ექსკურსია** რიცხვით 30 კაცი, რომელთაც ტფ. ქალაქის გამგეობა სადგომს უფასოდ დაუთმობს სამის დღით.

✦ განსვენებულმა დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ სიცოცხლეშივე გამოსთქვა სურვილი, რათა მისი **კუბო გვირგვინებით არ შეემკოთ და შეგროვილი ფული საქველ მოქმედო საქმისთვის მოეხმარებინათ.** თანახმად ამისა, კავკასიის ნამესტნიკმა გადასწყვიტა ამ მიზნით შეგროვილ ფულის 5,380 მან. 99 კაპ. სარგებლით ტფ. ვაჟთა პირველ გიმნაზიაში განსვენებულის სახელობაზე სტიპენდია დაარსოს. მისმა იმპერატორებითმა უმაღლესობამ დიდმა მთავარმა ნიკოლოზ მიხეილის ძემაც მოიწონა ეს აზრი და თავის მხრით 2,500 მან. გადასდო სასტიპენდიო თანხის შესავსებად.

✦ **ტფილისის სასამართლო პალატის სესია**, რომელიც ბათომსა, სოხუმსა და ქუთაისს იყო წასული, უკვე ტფილისში დაბრუნდა.

დაბრუნდა აგრეთვე ოლქის სასამართლოს სესია, რომელიც გორში იყო წასული რამდენისამე საქმის განსახილველად.

✦ ინჟინერი კ. ი. მარქაროვი უკვე შეუდგა **აბასთუმნის სანატორიის** დაწვრილებით გეგმის შედგენას. მუშაობა ამ თვეში დაიწყება.

✦ 1912 **წელს სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატებს სამსახურის ვადა უთავდებათ.** ამიტომ შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა გუბერნატორებს, გრადონაჩალნიკებს და ოლქის უფროსებს, მათ შორის ტფილისის გუბერნატორსაც, მიიღონ ზომები, რათა არჩევნების მოსახდენად საჭირო თანხა თავის დროზე შეტანილ იქმნას საერობო და საქალაქო ხარჯთ-აღრიცხვაში.

✦ გაზეთების სიტყვით, სამეცნიერო აკადემია **აკადემიკოსს მარს** საზღვარ-გარეთ ჰგზავნის აღმოსავლეთის ხელთ-ნაწერების შესასწავლად.

✦ გუშინ **ქალაქის გამგეობაში მუშაობა** ნაშუადღევის სამ საათზე შესწყდა. მუშაობა განახლდება აღდგომის მეოთხე დღეს, ოთხშაბათს.

✦ **შინაგან საქმეთა სამინისტრომ ერთ-დროული შემწეობა დაუნიშნა:** 1) ბორჯომში მოკლულ პოლიციელის ქვრივს სოფიო სამხარაძეს—160 მან., 2) ქუთაისის გუბერნიაში ჩაფრად ნამყოფს ნესტორ ცხონდიას—150 მან., 3) ტფილისის ბოქაულის თანაშემწის ქვრივს წულუკიძეს—250 მან. და გურიაში მოკლულ ჩაფრის ქვრივს გოგაბერიძეს—150 მან.

✦ **ქალაქის საქმეთა საგუბერნიო საკრებულომ 5 აპრილს ხელმეორედ განიხილა საკითხი ქალაქ ტფილისის** საარჩევნო უბნებად დაყოფის შესახებ. საკრებულო კვლავ არ დაეთანხმა ქალაქის საბჭოს დადგენილებას იმის შესახებ, რომ ქალაქი მხოლოდ სამ საარჩევნო უბნად დაიყოს და დაადგინა, დაიყოს ქალაქი თერთმეტ საარჩევნო უბნად. ქალაქის საბჭოს წარმომადგენელნი ნ. პ. კოქჩაევი და ტ. ა. ენფიაჯიანცი განსაკუთრებულს აზრისანი დარჩნენ. საგუბერნიო საკრებულოს დადგენილება კავკასიის ნამესტნიკს წარედგინება განსახილველად.

✦ ამ დღეებში კრება ჰქონდა **ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიას**, რომელმაც განიხილა განცხადება საყასბოებისა და საკალბასო დაწესებულებათა მეპატრონეთა საურთიერთო დამხმარე საზოგადოების გამგეობისა. გამგეობა ამ განცხადებაში აღნიშნავს, რომ საჭიროა თვალყური ადევნონ ჩარჩებს, რომელნიც დასაკლავ საქონელს ჰყიდულობენ და ჰყიდიან და აგრეთვე იმ პირთ, რომელნიც საქონელს ჩუმად ჰკლავენ. კომისიას წინადადებას აძლევენ, ჩვენის ხარჯით 8 კაცი მოიწვიეთ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის შტატის გასაძლიერებლადო. კომისიამ ეს აზრი მოიწონა და დაადგინა, შესაფერი შუამდგომლობა აღძრას ქალაქის გამგეობის წინაშე. ამის შემდეგ, კომისიამ დაადგინა, შეიტყოს ფქვილის ფასი ადესასა, კერჩსა, ეკატერინოდარსა და ნოვოროსიისკში, რათა ამის მიხედვით ტფილისში პურის ნიხრი დააწესოს.

✦ კავკასიის ნამესტნიკმა უკვე დაამტკიცა ევგენი კრინიცკი **ბათომის ქალაქის მოურავის მოადგილედ.**

✦ 24 აპრილს, ქ. გორში ადგილობრივ კლუბის დარბაზში, მსახიობი ი. ზარდალიშვილი, ნ. გოცირიძისა, ქ-ნი ა. შოთაძის და ადგილობრივ სცენის მოყვარეთა დახმარებით **გამართავს ქართულს წარმოდგენას.** წარმოდგენილი იქმნება—ჰენრიხ იბსენის ცნობილი პიესა „ექიმი შტოკმანი“ ანუ „ხალხის მტერი“. ბილეთები იყიდება ქალაქის აფთიაქში ი. კვალიაშვილთან.

✦ როგორც პეტ. დეპეშათა სააგენტო იტყობინება, **გზათა უწყების უფროსი 6 აპრილს კავკასიაში მოდის,** რათა რკინის ახალ გზების გაყვანის საქმე გამოარკვიოს. ახალ გზების გაყვანას შავი-ზღვის პირად და ბორჯომ-ყარსის შუა აპირებენ. არმავირისა და ტუაპსეს გზის გაყვანა უკვე დაიწყეს.

✦ **ქველ-მოქმედთა საყურადღებოდ** გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ **ნაძალადევში** (ბრიგადერის ქუჩა, № 4) სცხოვრობს ყოვლად **უმწეო ოჯახი მარიამ როველიშვილისა,** 4 შვილის პატრონი, ვისაც მათი დახმარება ჰსურს, შემოწირულება შეუძლიანთ ჩვენს რედაქციაში გამოგზავნონ.

✦ საქმე „ტფილისის ლისტოკის“ **რედაქტორად ნამყოფ მიხაილოვისა,** მისი ვექილის ბ-ნი დავით კვირკველიას შუამდგომლობის თანახმად, გადაიდო.

✦ 5 აპრილს ტფილისში შეიპყრეს 3 უპასპორტო.

✦ 6 აპრილს ღამით შამხორისა და მეტეხის ქუჩის კუთხეში ცეცხლი გაუჩნდა ელისაბედ სანტრუსოვის სახლს, აქედან ცეცხლი მოსდე ტერმაგოვს სახლზე გადავიდა. ცეცხლის წაკიდება ბრალად დასდეს ვასილ საბულიანს, რომელიც უკვე შეიპყრეს.

### ქ უ თ ა ი ს ი

✦ **ხმოსანთა** შორის ტრიალებს აზრი, რომ **ქალაქის თავად ნამყოფს დავით ლორთქიფანიძეს დაენიშნოს ქალაქის თვითმართველობაში ხანგრძლივი სამსახურისათვის პენსია.**

✦ **იოსებ ქუთათელაძე** ამ დღეებში წარუდგენს სამეურნეო საზ. ქუთ. განყოფილებას ბამბის მოყვანის შესახებ მოხსენებას. ამ მოხსენებას წაიკითხავენ პირველსავე კრებაზე, რომელიც მოხდება აღდგომის კვირაში. ამ კრებაზე, სხვათა შორის, განიხილვენ საკითხს სამეურნეო სასწავლებლის მდგომარეობის შესახებ მას შემდეგ, რაც ბანკმა მოუსპო მას ყოველ-წლიური დახმარება 3000 მანეთით. იგი, ისედაც შევიწროებული, დიდ გაჭირვებას განიცდის—და სწორედ ამ საგანზე ექმნებათ სჯა-ბაასი.

✦ კავკასიის სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ მიიღო ექვსი ფუთი **ფრანგული იონჯის თესლი,** რომელიც უფასოდ დაურიგდებათ იმ მეურნეთ, რომელნიც დასთესავენ ამ იონჯას და განყოფილებას თავის დროზე აცნობებენ, თუ რა შედეგი მოიტანა ამ ცდამ.

✦ შარშან გადაცვლილმა მასწავლებელმა მატარაძემ სამეურნეო საზ. ქუთაისის განყოფილებას **უანდერძა** ასამდე სკა პავლე მოსეშვილის მამულ ს. სადმელში. წრევანდლამდი განყოფილებამ ეს საქმე ვერ მოაწესრიგა და ახლა როგორც შევიტყვეთ, მას მოუწვევია მეფუტკრე რ. ჩიხლაძე. ფუტკრის მოსავლელად ბ-ნი ჩიხლაძე ამ დღეებში გამგზავრება ს. სადმელს, სადაც მაისში ან ივნისში რაჭის მაზრის სოფლის მასწავლებელთათვის უნდა მოაწყოს მეფუტკრეობის კურსები.

✦ ქუთაისის **კლასიკური გიმნაზიის** მერვე კლასის მოსწავლეთ ერთის გარდა, ყველას მიეცათ ეგზამენის დაჭერის ნება სიმწიფის ატესტატის მისაღებად. მათი რიცხვი 35-ია.

✦ ქალაქის ფერშალმა ვ. ძღენტმა უწყება გაუგზავნა ყველა ყასბებს, რომ **ხორცის გაყიდვის დროს ჩაიცვან თეთრი ხალათები** და მიიღონ ზომები განსაკუთრებულის სისუფთავის დასაცველად.

ამ ნაირივე უწყებები გაეგზავნათ მეფურნეებს, ტრაქტირებისა და სხვა სავაჭრო დაწესებულებათა და სახლის პატრონებს.

ასეთი განკარგულება გამოწვეულია ზაფხულისა და ეპიდემიური ავადმყოფობათა მოლოდინით.

✦ **შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს თავჯდომარეს** ამ დღეებში მოელიან პეტერბურგიდან (კოლხიდა).

### ბ ა ქ ო

✦ ქალაქის საბჭოს წევრების არჩევნებით **ბევრი ცნობილი საზოგადო მოღვაწე** უკმაყოფილო დარჩა. ეს ორი დღეა კერძო ბინებზე მუდამ თათბირი იმართება, თუ არჩევნები როგორ გააბათილონ.

✦ ბაქოში **გადამდები სენი** არა სცხრება: პირ-იქით ზოგიერთი სენით ავად გამხდართა რიცხვი მატულობს. მაგალითად ამ კვირაში ხუნაგით 25 კაცი გამხდარა ავად. ტუბერკულიოზით—20. და დანარჩენი ავადმყოფობა ისევ ისე რჩება, როგორც წინა კვირაში.

✦ ნაფიც ვექილთა კომიტეტის საქმის მწარმოებელი **ევლახოვი მიიმალა;** მას კომიტეტის ფული **300 მანეთი გაუფლანგავს.**

✦ ბაქოს სახაზინო პალატას ქალაქის გამგეობისათვის მიუმართნია, დაიჩქარონ წარდგენა 27 მილ. მან. სესხის პირობებისა და გეგმისა, თუ როგორ გაისტუმრებენ სარგებელსა და ვალს.

✦ 4 აპრილს, სურახანის ქუჩაზე მყოფ აბაზ ქერიმის სახლში № 135, **ჩამოიმტვრა სახურავი.** ამ სახლში მყოფ რკინის დუქანში ალი

# უკანასკნელ წლების სიმბოლიზმი
## ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობაში

(დასასრული)

ახალგაზრდა პოეტის ალ. შანშიაშვილის „ბედი მგოსნისა“-ც ნათლად გადმოგვცემს მონათესავე სულთა ტრაგედიას, რომელიც გამოიწვია ერთმანეთისადმი მათმა უიმედო ლტოლვამ.

საზოგადოდ ხელოვნური ნაწარმოები უმაღლესი, წმინდა სულიერი სიყვარულის ნაყოფია და ჩვენი ახალგაზრდა პოეტიც „მიუძღვნის თავის ნაწარმოებს“ იმ არსებას, რომელიც ავტორისებური ძლიერებით განიმსჭვალება აქ სიყვარულით. დრამის შესავალში მგოსანი ამბობს:

ვით დავივიწყებ ციურ სახესა,
თუნდ გადაფრინდეს უცხო მხარესა?
გული თაყვანს სცემს, ეალერსება,
მარად მასთან ჰქრის ნაზი ოცნება!
მასკენ მივილტვი*), მისით ვსულდგმულობ,
გზასა მინათებს ბნელით მოცულსა!..
მის წინ მუხლს ვიდრეკ, მაზედ ვლოცულობ,
სასოწარკვეთილს მიმხნევებს სულსა.
მასვე მივუძღვნი ამ ნაწარმოებს,
გულის ნათლად თქმულს იგი მიჰხვდება:
სხვას არ ვპირდები, სულს ვერ აღვუგზნებ,—
რა გადიკითხავს მოეწყინება.

ახალგაზრდა თამარმა, დრამის გმირმა ქალმა, ნაწარმოების წაკითხვისთანავე იცნო მგოსნის სული. „იგი მიხვდა გულის ნათლად „აქმულს“ და მოუთმენლად მოელოდა მისი ავტორის, ნიკოს, პირადად გაცნობას.

*) ნაზი ყვავილს ჩემია.

„ნეტა ვიცნობდე ამ ლექსთა დამწერს! ნორჩ გულსა ჰხვდება გრძნობით აღსავსე-ო“,—ამბობს თამარი. ნიკოც არ იცნობს თამარს პირადად, მხოლოდ ვერ კი ივიწყებს მის „ციურ სახეს“. ნიკოს მეგობარმა ირაკლიმ იცის, რომ მას თამარი უყვარს, მაგრამ ეშინიან მეგობარი არ მოს ჯუჟუვდესო და აფრთხილებს მას მისივე ლექსით:

თუ გსურს ვინმე შეიყვარო,
სატრფოდ ტურფა გამონახე;
თუ გულმა გულს გაუღიმოს
შენც უჩვენე შენი სახე!
თუ არა და მოერიდე,
ყველგან გიდგა ბნელი მახე;
გაებმები, ბედს იწყევლი,
გაგემურვის პირისახე!

ნიკო შეხვდება თამარს ბაღში, გადასცემს მას, ჯერ ისევ უცნობს, ყვავილის კონას, რომელშიაც სიყვარულის წერილია ჩადებული, თითონ კი წყლის პირას ჩამოჯდება და ყურს უგდებს ირაკლის, რომელიც ჩანგურს დამღერის ნიკოსავე ლექსს:

შავი სევდის ნაპერწკალი
სატრფოს თვალებს მომაგონებს;
მთვარის შუქის ნაზი ქსელი
ხან მალხენს და ხან მაღონებს.
ივერიის მზე-ასული
საღამოს ჟამს ჩანგს დამღერის;
თვით ნათელი, ნათლის სულით
სასურველსა შორით ელის.
განსჭვირვალე ლაჟვარდი ხარ,
ყვავილების დედოფალი;
შემიწყნარე, მსხვერპლად დამსწვი,
სულის ხმა გთხოვს იდუმალი.
გადიდებ და შენს გარეშე
არვინ მივას ამა სოფლად;
სულს მომბერე სიხარული
და გამხადე მკობელ მგოსნად;

ირაკლი გაათავებს სიმღერას და ნიკოს მიუბრუნდება:

შენ მან მოგბერა ცის ნიჭი ქვეყნად
და თავის მჭობად შენა გქმნა მგოსნად!

თამარს ჰყავს მოხუცი **მამა ლევანი,** რომელსაც უნდა ბარემ თავის სიცოცხლეში მოუაროს ქალს და ჩააბაროს იგი თავის პატრონს. მამას საყვარელ ქალისათვის აურჩევია საქმროდ მდიდარი და ლამაზი თავადი არჩილი. მაგრამ თამარი უარზე სდგას, რადგან იგი არჩილთან არავითარ სულიერ კავშირს არა გრძნობს, და მამას ეუბნება:

მე ამას გეტყვი, რომ სილამაზით
კაცის ღირსება არ დაფასდება;
არც სიმდიდრეა მყვიდრი რამ განძი,
ორივე ერთად მალე გაჰქრება;
თვის ნანდობს სატრფოს გული თვით ჰშობს,
თუ სხვას მიეცით, მუდამ იგლოვებს!

ნიკო მოუთმენლად ელის ქალის პასუხს. იგი ირაკლის თანხლებით თამარის სახლისკენ გაეშურება. სახლს რომ მიუახლოვდებიან, ირაკლი ჩამოშორდება. აივანზე თამარი თარს უკრავს და ზედ დამღერის:

მწვერვალზე ვიდექ-მაგონდებოდი,
ბარად კი შენი კვნესა მესმოდა,
დაშორებულსა არ მშორდებოდი,
ბრწყინვალე სახე მელანდებოდა.
... თუ სხვა არსი ხარ-რად სცხოვრობ ჩემში?
და თუ ჩემი ხარ—ტანჯვა მაკმარე;
ოჰ, რად იფარავ ბინდის მკრთალს ლეჩაქს,
ჩემო მტანჯველო, გამომეცხადე!

ნიკო მას გამოელაპარაკება, და ქალიც ზევიდან წერილს ჩაუგდებს, სადაც სწერია: რაღაცა ძალა ჩემ ნორჩ გულსა შენსკენ იტაცებს და ამ წერილის მეოხებით იგი გიცხადებს, რომ სამუდამოდ ეყვარები მათზე ძლიერად, ვისაც კი ვინმე ჰყვარებია ამ ბედკრულ ქვეყნად.

დანიშნულ საღამოს ნიკო შეხვდება თამარს ბაღის ბოლოში. ღამეში თამარი ვერ იცნობს ნიკოს და ეკითხება:—ვინ ა ხარ მანდა?

**ნიკო:**

ვისაც სწერდი შენ აქ მოსვლასა!
წმინდა კავშირი ესრეთ სულთა ჰშობს სიყვარულსა!

**თამარ:**

აწ ჩვენი მოწმე იყოს მთვარე და ყვავილები,
რომ სამუდამოდ, ჩემო სულო, შენ მეყვარები!

ასეთი მოწმეების თანადასწრებით აუხსნიან ერთმანეთს სიყვარულს. შემდეგ ნიკო მიჰმართავს მთვარეს:

მთვარევ, გაგვშორდი! ასე მკრთალად ნუ გვაფრქვევ სხივებს,
ჩემს ახლოს მყოფი, შენზედ სრული, ნათლად ანათებს!
ან არა!... დაე, მოწმად იყავ აქ ჩვენთვის მთვარე,
და წმინდა სულის სიყვარული შენ ჩაიბარე!

**და მერე თამარს:**

შენზედ მრავალ გზით მიოცნებია,
სიზმრად მინახავს მკრთალი აჩრდილი,
სული უკვდავი თან დაგყოლია
ჩემი შუქმფენი, სხივში აზრდილი.
ჩემი სულთა დგმა დიდხან გეძებდა,
გზას მიღობავდა მე დაბრკოლება;
უშენოდ ყოფნა სიკვდილი იყო,
არც იფურჩქნიდა ბედნიერება.
და ბნელს, სევდიანს ღამესა გშრევ,
გიცან, შენ იყავ ჩემი ცხოვრება;
მსწრაფლ შეგიყვარე, მსწრაფლ შეგითვისე,
ვიგრძენ რაც იყო ჭეშმარიტება!
შეერთებულნი, გაბრწყინებულნი
მივქრით სიამით ნეტარებისკენ;
ლაჟვარდსა ტალღას აპობს პიდალო,
თან გზას მივვიკვლევს შვების ზღვისაკენ!
იქ ვარსკვლავები მიცინარობენ,
ქსელს გაგიბამენ, გიმღერენ ნანას;
ნისლი შეგმოსავს ნეტარებისა
და დაგაშორებს ბედკრულ ქვეყანას.

**თამარ:**

და ეგე ზღვა ხომ შენი სულია,
იქ შემატყე, მსურს დავემყარო;
ვარდის ნაკადი გადმოჩქრიალებს,
შუა გზად ერთვის ვნებისა წყარო.

**ნიკო:**

აწ გიხაროდეს უზესთაესო,
მარად შემკულო ტრფიალებითა;
სინათლის რძალთა ქალწულთა შორის
ამაღლებულო ციურ ვნებითა!..

აქ ჩემი ახსნა და განმარტება მეტია; ვშიშობ ამ დიდებულ აზრით გამოწვეული შთაბეჭდილება, თანაც მშვენიერ ლექსით გამოთქმული, არ შევამციროო!

როგორც ყოველთვის, აქაც, ამ ღვთიურ ცეცხლით ანთებულ სულთაც გაუჩნდა დაუძინებელი მტერი. თავადი არჩილი ფიქრობს „ძალად შეაყვაროს“ თავი თამარს. ამიტომ ის გადასწყვეტს მგოსან ნიკოს ჩამოშორებას და კიდევაც მოჰკლავს მას. თამარმა კი ეს არ იცის. ამხანაგების დახმარებით არჩილი ქალსაც გაიტაცებს, მაგრამ თამარი მას არ დაემორჩილება და გადაწყვეტით ეუბნება:

თუნდა სამოთხე წინ გადმიშალო
და ია-ვარდით მორთო ეს მხარე,—
მაინც ერთს გეტყვი: ვერ შეგიყვარებ!

**არჩილი მუქარით:**

გაწყდა მოთმენა! ტანჯვაც ვიკმარე!
ძალას მოვიხმარ! დაგიმონავებ-ო!

მაგრამ ამ დროს მოულოდნელად არჩილს თავს დაესხმიან ნიკოს მეგობრები ქალის განსათავისუფლებლად და შურის საძიებლად. მათ შორის ასტყდება სასტიკი სროლა. არჩილი ჰხედავს, რომ მას „დაუდგა დღე აღსასრულისა“ და დაჩოქილი თამარისგან ითხოვს შენდობას, რადგან მიხვდა, რომ „სიყვარულსა ძალად ვერ ჰშობებს“. არჩილმა გადასწყვიტა მტერს ხელში არ ჩავარდნოდა და კლდიდან წყალში გადაეშვა. ქალს იპოვნიან ხის ძირას თმა გაწეწილს, რომელიც ისტორიულად ხარხარებს გონება დაკარგული. მამა მკლავზე გადისვენებს ქალს და ღმერთს ევედრება, რომ დაუბრუნოს შვილი თამარი.

ამნაირად, ჩვენ დავინახეთ, რომ მონათესავე სულთა დაახლოვებას სიყვარული თავისთავად, ბუნებრივად მოჰყვება. მათთვის კი, ვისაც მხოლოდ სქესობრივ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების სურვილი იპყრობს, იგი საბოლოვო მიზანია. ამ უკანასკნელთ ჰგონიათ, რომ „სიყვარულს ძალად მოიპოვებენ“.

მაგრამ ძლიერია მხოლოდ სულიერი სიყვარული: „ჟამი და სივრცე მას ვერ აბრკოლებს.“ თუ მოსიყვარულე სულნი აქ ვერ შეერთდებიან, მათ „უზენაესი დაავგვირგვინებს“ და „განიხარებენ უკვდავი სულნი, მარად შემკულნი ტრფიალებითა; უზენაესნი, სინათლის რძალნი, ამაღლებულნი ციურ ვნებითა.“

სიყვარული აქაც სიმბოლოა უკვდავებისა. **გ. ქუმბურიძე.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქპერ-ოღლისა ნანგრევებ ქვეშ მოჰყვა დუქანში მყოფი ბიჭი ალა-ქერიმ-ოღლი, 11 წლისა. ქუჩაში მიმავალ მეშედი ბაგირ-ოღლის გულში ვეებერთელა ქვა მოხვდა და იქვე სული დალია. გამოირკვა, რომ სახურავი ჩაიმტვრა, იმიტომ რომ გვერდზე მყოფ აბანოს სამ-საჟენიანი აგურის მილი დასცემია.

# წერილი პროვინციიდან

როგორც „სახალხო გაზეთის" მკითხველებს ეხსომებათ, შარშან ენკენისთვის პირველ რიცხვებში მოთავსებული იყო წერილი იმის შესახებ, თუ როგორ გაჰყიდა უცხო გლეხებზე თავ. დ. მუხრანსკიმ სურამის მახლობლად მამული წოდებული „ლამზხოვანად" (წინედ საერთო მამული აბაზაძეებისა, აწ კი ტფილ. სათ.-აზ. ბანკისა). ავტორი ამ წერილისა სხვათა შორის ჰგოდებდა, იაფად გაიყიდა ე. ი. დესეტინა, 35 მან., როდესაც ადგილობრივი გლეხები, თუ დაგვიანებული არ არის, დესეტინაში 100 მან. კი გაიღებენო.

ამ რამდენიმე დღის წინედ სრულებით მოულოდნელად შევხვდი სწორედ იმ გლეხებს, ი. ხოლოდოვს და ნ. რეპინს, რომელთაც თავ. მუხრანსკისაგან უნდა ეყიდათ ზემოხსენებული მამული, 707 დესეტინა, მათმა ნაამბობმა განცვიფრებაში მომიყვანა.

ხოლოდოვი და რეპინი ყოფილან 6 ამხანაგის წარმომადგენელნი, სპარსეთის საზღვარზე, ასტარაში, თევზის მჭერავები. ეს წარმომადგენელნი ჩამოსულან ტფილისში და განუზრახავთ სადმე ახლო-მახლო მამულის ყიდვა. ქუჩაში სიარულის დროს მათ ვინმე კუზეცკი შეჰხვედრია და უკითხავს ვინაობა, ან ტფილისში რისთვის ჩამოსულან; როდესაც გაუგია, რომ მათ მამულის ყიდვა სურდათ, დიდის გულმტკივნეულობით მოჰქცევია და შეჰპირებია დახმარებას. მას მიუყვანია ი. ი. მარკოზოვთან, ორთავეს კი თავ. დ. მუხრანსკისთან; უკანასკნელს სურვილი გამოუცხადებია სურამის მამულის გაყიდვაზე.

შარშან აგვისტოს პირველ რიცხვებში, კუზეცკის და თავ. მუხრანსკის ეს გლეხები მამულის საჩვენებლად სურამში მიუყვანიათ. უჩვენებიათ იქვე მშვენიერი სახნავი მამულები სრულიად სხვა მემამულეებისა, ხოლო სახელი კი დაურქმევიათ „ცედინის აგარაკი", რომელიც წინად აბაზაძეებს ეკუთვნოდათ და ეხლა კი სათ.-აზ. ბანკის საკუთრებას შეადგენს. დესეტინა 35 მან. დაუფასებიათ. რასაკვირველია გლეხებს ლაპარაკიც კი არ დაუწყიათ, ტფილისში ჩამოსვლისათანავე დაუწერიათ ნასყიდობის ქაღალდი და 707 დესეტ. ანგარიშზე ბეღ მიუციათ 10.000 მან. ნაღდად, 5600 მან. თამასუქები, რომელიც 3000 მან. უკვე გამოუხსნიათ, ხოლო დანარჩენი ჩასაბარებელი ფული დამტკიცების შემდეგ უნდა ჩაებარებინათ.

ამის შემდეგ თავ. მუხრანსკის უთქვამს, ვითომც ამ მამულის ვალი საჯარო ვაჭრობის შემდეგ გადმოუწერია თავის სახელზე, ახლა კი ბანკიდან გამოსყიდვა ექირვება, და ვადა უთხოვნია ამ პროცესის გასაგრძელებლად. გლეხები კი ასტარაში დაბრუნებულან. მუხრანსკის აზრადა ჰქონია, შეეძინა ბანკისაგან სწორედ ის მამული, რომელიც ცედნის აგარაკში იმყოფება და შეიცავს 707 დეს. ის მამული მას გაესაღებინა იმ მამულად, რომელიც სურამის მახლობლად მდებარეობს და რომელიც რუსის გლეხებს აჩვენეს.

რაღაც მიზეზისა გამო ეს განზრახვა ვერ შეუსრულებია, და ვადაზე გლეხებიც ჩამოსულან მამულის დასამტკიცებლად; რადგან მუხრანსკის და მის კომპანიას გარკვეული პასუხი ვერ მიუციათ, გლეხები მღვდლის ლაზოვის მეთაურობით მისულან ბანკში ამ მამულის გარემოების გასაგებად და გაუგიათ, რომ მუხრანსკის არავითარი დაგირავებულ მამული ცედნის აგარაკში არასოდეს არ ჰქონია და ის მამული კი, რომლის სახელიც ახსენეს, ეკუთვნის ბანკსა და არა მუხრანსკის.

გლეხებს მაინც სურვილი გამოუცხადებიათ ამ მამულის ყიდვაზე, წასულან მამულის დასათვალიერებლად, მაგრამ მამული სიშორისა გამო არ მოსწონებიათ. მაშინ კი ნათლად დაუნახავთ, რომ ისინი მოუტყუებიათ...

**დემონი.**

# ქართველთა სამეურნეო საზოგადოება

ერთი კაცით ქვეყანა არ აშენებულაო.
ხალხის თქმულება.
თუ თავი შენი შენ გახლავს,
ღარიბად არ იხსენები.
**რუსთაველი.**

სამშობლოს ყველა მოსიყვარულეს უნდა ჰსურდეს კეთილ-დღეობა თავისი და წარმატება მოყვასისა. მართლაც ძნელია, რომ ქართველს არ უყვარდეს ღვთისაგან მშვენიერად შემკული, მდიდარი, უხვი, მოკაზმული და გონების მომხიბლავი საქართველო.

თუმცა საქართველო მდიდარი და მშვენიერია, მაგრამ მკვიდრთ არ იციან მისი რიგიანად ხმარება. ამაში ისინი დამნაშავენი არ არიან?! დღევანდლამდე პატრონი და გულმოდგინე დამრიგებელი არა ჰყავდათ, რომ იმათი დახმარებით და კეთილი გზის ჩვენებით შესძლებოდათ ესარგებლათ, მეურნეობისა ნამდვილი კვალისათვის მიეგნოთ და ნამდვილ გზაზე დამდგარიყვნენ. იმათი შემაფერხებელი მიზეზი უვიცობაა!

დღეს გამოჩნდა იმათი მშველელი. ქ. ტფილისში დაარსდა „ქართული სამეურნეო საზოგადოება". ეს საზოგადოება ყველა ქართველი მეურნესათვის თვალსაჩინო უნდა იყოს. ყველა ქართველი მოვალეა, რითაც კი შეუძლიან, „საზოგადოებას" მხარი მისცეს, რომ საზოგადოებამ მომავალში ქვეყნისათვის მედგრად, სასარგებლოდ სწიოს მძიმე უღელი, ყველა თავისი კეთილი განზრახვანი განახორციელოს. ნათქვამია, ქვეყანა ერთი კაცით არ აშენებულაო.

ამ სიტყვებით მტკიცდება წმინდა მოვალეობა ყველა ქართველისა წინაშე სამშობლოსი და მოყვასისა. ყველა ქართველი აღტაცებით უნდა მიეგებოს ამ ახალ საზოგადოებას; ყოველ მხრით მხარი მისცეს და შეეწიოს ამ საზოგადოებას ცოდნით, დაუძინარი შრომით თუ ნივთიერად. აქ, ამ საქმეში, გულგრილობა, სასოწარკვეთილება და სილატაკე, დიდად ავნებს ჯერ ედ საქმეს და მერედ დაამცირებს ყოველ ქართველის ზნეობრივ ღირსებას. დროა ქართველებმა შევიგნოთ, რომ სამეურნეო ცოდნა, სწავლა მეცნიერებაზედ დამყარებული და დაუღალავი შრომით, ვარჯიშობით შეძენილი, ჩვენის კეთილ-დღეობის ნამდვილ ნივთიერ ძარღვად გახდება.

ამისთვის ჩვენ მიერაც ხელის მიწვდენა უნდა, შველა უნდა ფულით, სარჩოთი დახმარებით. ნუ ვიცით, ხოლმე, რომ ჩვენ გაჭირების ყავარჯენს ერთს ან რამდენიმე ამორჩეულს პირს მივაყრდნობთ საზოგადო საქმეში და ჩვენ კი გულ-გრილად დავიკრეფთ გულზე ხელებს, თითქო ჩვენ არაფერს შუაში ვართო. ქართული სამეურნეო საზოგადოების საქმე ჩვენი საკუთარი საქმეა, იმიტომ რომ ჩვენის ქვეყნისთვის საჭირო და სასარგებლოა. დამაარსებელი პირნი საზოგადოებისა მხოლოდ მესვეურნი არიან, მხნე და გამრჯელ მესვეურთ ჩვენც უნდა მივყვეთ, რომ სასახელო სვე ბოლომდის სასახელოდვე გავიტანოთ.

ვიმედოვნებთ, რომ ქართველი საკეთილო საქმისათვის შეძლებისამებრ შესაწირავს არ დაიშურებს.

**ილია წინამძღვრიშვილი.**

# ბიბლიოგრაფია

Michel Tamarati. L'Eglise Géorgienne des origines jusqu'a nos jours. 1910 Rome. **მიქელ თამარაშვილი.** საქართველოს ეკლესია დასაბამიდან ჩვენს დღემდე. 1910 წ. რომი.

„კათოლიკობა საქართველოში"-ს პატივცემულმა ავტორმა მამა მიქელ თამარაშვილმა შარშან რომში ფრანგულს ენაზე გამოსცა თავისი დიდის ხნის ნაშრომი წიგნი, რომლის სათაურიც ამ წერილის თავში ამოვსწერეთ. მძიმე საქმე იდვა თავს მამა თამარაშვილმა: განფანტვა იმ უმეცრებისა, რომელიც დღემდე ევროპაში სუფევდა ჩვენის ეკლესიის შესახებ; გამოცემა წიგნისა, რომელმაც მეცნიერნიც უნდა დააკმაყოფილოს და უბრალო მკითხველსაც ხალისი გაუღვიძოს ხსენებულ ნაშრომის წასაკითხად. მართალი უნდა მოგახსენოთ, რომ ასეთს საქმეს დიდი გაბედვა უნდა.

ჯერ ერთი, ჩვენი საეკლესიო ისტორია წარმოადგენს ერთს დაუსრულებელს დარბევა-დაწიოკებას გარშემორტყმულ მტერთაგან, მათს მიერ აკლებას ჩვენის სასულიერო განძისას, დევნას, ჟლეტას. ამ განუწყვეტელ ბრძოლის დროს აუარებელი საბუთები იკარგებოდა ჩვენის ისტორიისა, მათი აღდგენა შემდეგში ძნელი ან სრულიად შეუძლებელი ხდებოდა ხოლმე. ამ გვარ პირობებში ჩვენის საეკლესიო ისტორიის დაწერა და ისიც ფრანგულს ენაზე, ევროპის მკითხველ საზოგადოებისათვის, დამწერისაგან მოითხოვს არაჩვეულებრივს სიყვარულს საქმისადმი, მოთმინებას, ხანგრძლივს შრომას და ათასგვარ დაბრკოლების ძლევას.

ჩვენდა სასიამოვნოდ და პატივცემულ ავტორის სასახელოდ უნდა აღვიაროთ, რომ ნაკისრი საქმე წუნდაუდებლად აქვს შესრულებული. მისს ნაშრომში მოთხრობილია ჩვენი საეკლესიო ისტორია დასაბამიდან დღევანდლამდე, ქრისტიანობის მოჰფენა ქართველთა შორის; აღწერილია ცხოვრება ამ სჯულის შემმატანთა საქართველოში. საეკლესიო ისტორიასთან ერთად მკითხველი ეცნობა ჩვენს სამოქალაქო ისტორიასაც, რადგან ჩვენი საეკლესიო ისტორია იმავე დროს ჩვენი სამოქალაქო ისტორიაა. ავტორი რამდენსამე თავს თვისის თხზულებისას ანდომებს ქართველთა ეტნოგრაფიას, რომ მკითხველს გაუადვილოს წიგნის შინაარსის უკეთესად გაგება. ჩვენის ისტორიის წინა დროებიც (ურარტუს ლურსმულ წარწერებზე დამყარებული) კი არის მოხსენებული და ყოველივე ეს შესაფერის დოკუმენტაციითაა. თუ კი რამ მოიპოვებოდა უცხო ენაზე დაწერილი ჩვენის ქვეყნის შესახებ, საიდანაც კი რისამე გამოყენება და სამოწმოდ ხმარება შეიძლებოდა, ავტორს ყოველ მხრიდან უსარგებლია. ორასზე მეტია წიგნში ნახსენები სხვა და სხვა წყაროები! ასე რომ ამ თხზულების წაკითხვის შემდეგ მკითხველს რჩება სრული წარმოდგენა საგნის შესახებ და შთაბეჭდილება მეტად გულმოდგინედ და რუდუნებით შედგენილ წიგნისა.

ჩვენის ეკლესიის მესტორიეს არ შეეძლო საპატიო ადგილი არ დაეთმო თავის თხზულებაში საქართველოში კათოლიკობის გავრცელებისათვის. ისიც უთმობს, და ეს ნაწილი თხზულებისა მეტად დასაბუთებულადაც უნდა ჩაითვალოს, ჩვენის აზრით. ეს გარემოება იმით უნდა აიხსნას, რომ საბუთები საქართველოში კათოლიკობის გავრცელების შესახებ საკმაოდ დარჩა ევროპაში, განსაკუთრებით რომში,—ვატიკანის არხივში. მოთხრობილია, თუ რა რიგ ყურადღებით ეკიდებოდა წმ. ტახტი ქართველთა შორის კათოლიკობის გავრცელების საქმეს; როდის დაიწყეს კათოლიკე მისიონერებმა სხვა და სხვა ორდენებისამ ამ აზრით მისვლა და მოღვაწეობა საქართველოში, როგორის წარმატებით მიდიოდა მათი მოღვაწეობა, ან რა დაბრკოლება ელობებოდათ წინ. გვაცნობს, თუ რა დევნა განიცადა მე-XIX საუკუნის დასაწყისში კათოლიკობის საქმემ ჯერ რუსის მთავრობის მხრით, რომელსაც არა ჰსურდა გვერდით მოცილე ჰყოლოდა ქრისტიანობის გავრცელების საქმეში, განსაკუთრებით ისეთი მოცილე, რომელსაც სამწყსოს თვალნი რომისაკენ ჰქონდა მიქცეული; ავტორი გვაცნობს იმასაც, რომ მთავრობის გარდა საქართველოში სომხებიც მტრებად გადაექცნენ კათოლიკობას, და უმწყემსოდ დაშთენილნი ქართველი-კათოლიკენი მათგან განიცდიდნენ ყოველგვარს დევნას, სომხურს ტიბიკონზე ძალით გადაყვანას და ქართველ ეროვნებაზედაც ხელის ძალით აღებინებას... ბოლოს, ქართველ კათოლიკეთა აწინდელ სავალალო მდგომარეობით გულ-დათუთქული მართლ-მორწმუნე ქართველივე კათოლიკე მწყემსი-ავტორი, რომელმაც საკუთარს თავზედვე განიცადა ეს დევნა მთავრობისა და სომხებისაგან, შეჰღაღადებს უპატრონოდ დაშთენილ სულიერ და ხორციელ ძმათა სახელით წმიდა ტახტს არა უგულებელ ჰყოს ესოდენი სამწყსო და კვლავაც გაიჩინოს თვისი მამობრივი ზრუნვა, მსგავსად წარსულ დროების ზრუნვა-პატრონობისა. სომეხ-კათოლიკეთ, რომელთა რიცხვი 70,000 უდრის, აქვსთ თავიანთი საპატრიარქო, 16 საეპისკოპოსო ეპარქია, 9 სავიკარო. 40,000 ქართველ-კათოლიკეთ კი, საპატრიარქოს ვინა სჩივის, საკუთარი ეპისკოპოსიც-კი არა ჰყავთ მოძღვრად და პატრონად!... ოღონდაც რომ სავალალო სურათია და ღირსი ყოვლადის თანაგრძნობისა რომის პაპის-მიერ!...

წიგნის მდიდარს, დალაგებულს და უხვად დასაბუთებულს შინაარსს მკითხველის თვალში უფრო ფასსა ჰმატებს და ამშვენებს 104 სურათი ქართველთა ტიპებისა, წმინდანებისა და ქართულ ხუროთ-მოძღვრების ნიმუშებისა. წიგნს დართული აქვს აგრეთვე საგეოგრაფიო რუკებიც. მთელი გამოცემა საერთოდ ქარბად აკმაყოფილებს ევროპიელ მკითხველის გემოვნებას. მართალია, ფასი წიგნისა— 15 ფრანკი (ექვს მანეთამდე) ყველასათვის ხელმისაწვდომად არ ჩაითვლება, მაგრამ ეს ფასიც აწეულად არ გვეჩვენება, თუ გავითვალისწინებთ იმ ხარჯს, ასეთს მდიდრულად დასურათებულს და XV+711 გვერდიან in 8º გამოცემულ წიგნს რომ დასჭირდებოდა.

დასასრულ, იმედი გვინდა ვიქონიოთ, რომ ეს ყოვლის ღირსებით შემკული გამოცემა შესაფერს გზას გაიკვლევს მკითხველთა შორის და ამნაირად, ერთის მხრით, ჩვენს ქვეყანას და მისს ხალხს გაეცნობა ევროპა და მეორეს მხრით კი მამა თამარაშვილი დანახარჯის აღებით შეიძლებს გამოსცეს სხვა თვისნი ნაშრომიც, საქართველოს ისტორიისავე შესახებ დაწერილნი, რომელთათვისაც მამულის სიყვარულით აღფრთოვანებულს ავტორს სავსებით შეუწირნია მთელი თვისი ცოდნა, ახალ-გაზდობა და პირადი კეთილ დღეობა.

**თ. სახოკია.**

# დღევანდელ ნომერთან „სახალხო გაზეთის" ხელის-მომწერთ ურიგდებათ რკინის გზის მატარებელთა 18 აპრილის მერე მიმოსვლის აღმნიშვნელი ფურცლები.

# აირუმში მომხდარ უბედურების გამო

(წერილი რედაქციის მიმართ)

უფალო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში ადგილი დაუთმოთ ამ წერილს. 31 მარტს საღამოს 11 საათზე **აირუმის** რკინის-გზის სადგურზე (ყარსის რკინის გზაზე) მეტად გულ-შემზარავი უბედურება მოხდა. ამ სადგურის უფროსის თანაშემწე **დარჩია ტერ-ტეროვის** მეუღლე შუშანიკა ზაქაროვის ასული სახლიდან გამოვარდა და ადიდებულ მდინარეში გადავარდა:

ასეთი საქციელის მიზეზი სასტიკი აუტანელი სულიერი და ფიზიკური ტანჯვა იყო, რომელიც შინაურებისაგან იტანდა. განსვენებული მეტად მშვიდი, პატიოსანი და წყნარი ადამიანი იყო და ყველა ადგილობრივი მოსამსახურეები დიდის სიბრალულით იხსენიებენ. ყველას ჩვენგანს არა ერთხელ გვინახავს თვალ-ცრემლიანი და რამოდენიმეჯერ იძულებულიც ვყოფილვართ გამოვსარჩლებოდით. ისეთი შემთხვევებიც იყო, როცა ყვირილზე შევგროვილთ ნაცემი ქალი ქმრის ხელიდან გამოგვიგლეჯია.

თავის დახრჩობის რამოდენიმე დღით წინედ, საცოდავი ეზოში გამოვიდა და თვალ-ცრემლიანმა შემოგვტირა: „ჩემი ქმარი და დედამთილი მეუბნებიან, გარყვნილი და გათახსირებული ქალი ხარო, თქვენც ყველანი ზიზღით იხსენიებთ. თუ სახლში მაწამებენ, თქვენ მაინც რაღას მერჩით, რითი დავიმსახურე თქვენგან ასეთი სასჯელი. მითხარით, ვის რა დავიშავეთ.?!"

ყველანი ძალიან შევწუხდით და ბოდიშით აუხსენით, რომ ეგ არ შეიძლებოდა ჩვენგან, რადგან კარგის მეტი ცუდი შენზე არა გაგვიგონიარაო.

ეს იყო უკანასკნელი ახსარება საცოდავი ტანჯული ადამიანისა, ახსარება ნათქვამი არა მღვდლის წინაშე, არამედ მთელ ადგილობრივ საზოგადოების წინაშე. ტანჯულმა ადამიანმა ველარ შესძლო გულში დატრიალებულ ბოღმა-სევდის ატანა და გულის-თქმა ყველას ასე საჯაროდ გაგვიზიარა.

ჩვენც ზნეობრივ ვალად ვსთვლით ეს ამბავი დაწვრილებით საზოგადოებას გადავცეთ, და თუ ჩვენდა სამწუხაროდ ტანჯულს სიცოცხლეში ვეღარ უშველეთ, მკვდარს მაინც ქირის უფლად გაუხდეთ და დამნაშავების კანონიერი დასჯა მოვითხოვოთ. დიახ, ეს არის ჩვენი ზნეობრივი ვალი და გაჩუმება სირცხვილად მიგვაჩნია. იმედი გვაქვს, როგორც მთელი საზოგადოება, აგრეთვე ადგილობრივი მთავრობაც შეძლებისა დაგვარად მოგვეხმარება, რათა დამნაშავენი დაისაჯონ და მით შემდეგისთვის ასეთ უბედურებას ადგილი აღარ ჰქონდეს.

რედაქციას უმორჩილესად ვსთხოვთ ეს წერილი სხვა გაზეთშიაც გადააბეჭდინოს. **ვახილი ბუკია, იმეტრე ტაბატაძე, გვარამია ანთამოზი, გრიგოლი ადანაია, ალექსანდრე ნახაძე, მაქსიმე ადანაია.**

# ტფილისის ქართული დაწყებითი სკოლები

27 მარტს სუბალაშვილის სახალხო სახლში ქ. სკოლებმა გამართეს **სალიტერატურო დილა გლეხ-კაცების განთავისუფლების 50 წლის თავის აღსანიშნავად.** დილის 11 საათიდანვე დაიწყეს მოგროვება ყველა ქართული სკოლების მოწაფეებმა, იყვნენ სახალხო უნივერსიტეტის მოწაფეებიც.

პირველ საათზე ფარდა აიხადა და მასწავლებელმა ქ-ნმა ლ. ეღიავამ წაიკითხა ბატონ-ყმობის მოკლე განმარტება; შემდეგ მოწაფეთა გუნდმა ბ-ნ ფალიაშვილის ლოტბარობით შეასრულა სიმღერები. ბავშვებმა ლექსები სთქვეს, წარმოადგინეს სცენები „კაკო ყაჩაღიდან" და სცენა გამომძიებელთან „გლახა ჭრიაშვილიდან". დილამ მხურვალედ ჩაიარა. აუარებელი ბავშვები სულ-განაბულები ისმენდნენ. ერთხელ კიდევ დავრწმუნდით, რომ ბავშვებსაც შეუძლიანთ ჩუმად მოსმენა წარმოდგენისა და ლექციისა, მათთვის გასაგებ ენაზე. თითქმის ყველა მოწაფემ, რომლებიც კი იღებდნენ მონაწილეობას, კარგად შეასრულეს, მაგრამ განსაკუთრებით კარგა შეასრულეს და მიიქციეს მაყურებლების ყურადღება ნაძალადევის სკოლის მოწაფე ქალმა, რომელმაც სამაგალითოდ შეასრულა აზნაურის ქვრივის როლი გ. ჭრიაშვილიდან და 1-ლ კუკიის სკოლის მოწაფე ვაჟმა,—ზაქრის როლში. ამ ბავშვებს ცხადად ეტყობათ სასცენო ნიჭი. კარგი იქნება, რომ მასწავლებლებმა ყურადღება მიაქციონ და სწავლის გათავების შემდეგ გააცნონ სახალხო თეატრის ხელმძღვანელებს, რომ მათ სცენაზე გამოიყვანონ. ასეთი დილა წელიწადში ერთხელ მაინც რომ გაიმართოს, ძალიან სასარგებლო იქნება. მადლობის ღირსნი არიან ამ დილის მომწყობი კომისიის წევრი მასწავლებლები.

**X**

# სოფლად

ვისაც უნდა დაწვრილებით შეისწავლოს გლეხის მარტივი ფსიხოლოგია, იმისთვის სრულებითაც არ არის საჭირო დიდის მეცნიერული სწავლა-განათლებით იყოს აღჭურვილი. ვისაც უნდა გაბედულად სძარცვოს და ჰყვლიფოს გლეხკაცი, შიშის თავზარი დასცეს, იმისთვის სრულებითაც არ არის საჭირო ზელიმ-ხანივით თავით-ფეხამდის შეიარაღებული დაღესტნის მიუვალ მთებში იმალებოდეს და იქიდან უთვლიდეს მუქარას თავის მეზობლებს. ამისთვის საჭიროა შეიარაღდეთ მხოლოდ მელანში გამღვრეული კალმით, ამოეფაროთ ჩრჩილივით „ძლიერთა ამა ქვეყნისათა" ჩოხის კალთაში და იქიდან დაემუქროთ ხალხს. სოფელს ბევრნაირი წურბელა ჰყოლია. ერთი წურბელთაგანი ჩვეულებრივად სოფლის მწერალიც არის ხოლმე. დღეს ესენი დაჰპატრონებიან ნახევარ ეკლესიას, დღეს ესენი გამხდარან სოფლის ბატონ-პატრონებად. ამაში რამდენადმე თითონ გლეხიც არის დამნაშავე, რადგანაც ეს უკანასკნელი სოფლის წურბელა-აბლაკატს უფრო მეტად ენდობა, იმას უფრო სავსებით უმჟღავნებდეს თავის გულის პასუხს, ვიდრე ინტელიგენტს, რომელსაც უფრო წრფელად შესტკივა გლეხისთვის გული. რად მოხდა ისე, რომ გლეხი უფრო თავის დამლუპველს და სულის ამომხდელს ენდობა, როგორც მისა სახრჩობელას, ვიდრე თავის მოკეთე ინტელიგენტს? მიზეზი აქ მხოლოდ ერთია: ინტელიგენტი სრულიად ჩამოშორდა სოფელს, სრულიად გასწყვიტა გლეხთან კავშირი. მწერალ-აბლაკატს კი მუდამ სოფელში აქვს ბუნაგი, გლეხიც კვერცხივით აქვს ხელში აწონილი და ამიტომ კარგადაც იცის, თუ საიდან ესროლოს ქამანდი, რომ უფრო სახსრიანად მოარტყას. ნათქვამის დასასაბუთებლად მოვიყვან მაგალითს, რომელიც კარგად ახასიათებს ერთის მხრით გულუბრყვილო გლეხს და მეორეს მხრით—გაქნილ მწერალს: ერთ მეცხვარეს იარაღის ნებართვა უნდა აეღო. დარიგებისათვის მიჰმართა თავის ნათლიმამა ვაჭარს. ვაჭარმა მეცხვარე მწერალთან მიიყვანა და თან შეეხვეწა, ნიკო, გეთაყვა, ამ კაცს ეს საქმე მოუხერხე და გასამრჯელო ჩემგან მიიღეო. ნიკოს რაღაც არ ესიამოვნა ვაჭრის შუამავლობა, რადგანაც იცოდა, რაკი ვაჭარი ჩაერია საქმეში, გლეხს ისე თავისუფლად და თავისებურად ეღარ გასცარცვამდა, და გაჯავრების კილოთი უთხრა მეცხვარეს,—„რაღა შუამავლები გინდოდა, მგონი შენც კარგად მიცნობ?! გასწი ჩემს ოთახში, მეც ეხლავე ამოვალ და იქ გეტყვი, რაც საჭიროაო. წავიდა მეცხვარე მწერლის ოთახში, და ნიკოც თან გაჰყვა ქექა-ქუხილით: „ერთი მამა გიცხონდა, რა იცი კუდის ამწევი გინდა?! საქმე ჩემთანა გაქვს, ჩემთან მოდი პირდაპირ. გეშინიან ჩემი, თუ გრცხვენიან?".

— ნუ შემრისხავ, გეთაყვა, ნიკო! ხომ იცი, რეგვენი ხალხი ვართ, —მიუგო შეშინებულმა მეცხვარემ.

— შეგრისხავ კი არა, მეტის ღირსიცა ვარ,—შეჰკივლა ნიკომ,—მაგრამ რა გიყო ჩვენი ხარ. შენ არ იცი, შე გლახა, რომ მე შენთვის არას დავზოგავ?! მოწმიბის აღებას, როცა გინდა, მოგიხერხებ, ხარჯი არ მინდა შენგან და ბარჯი.

— არა, გეთაყვა, მითხარი რა ეღირება და მოგართმევ, ყველა საქმე ხარჯსა თხოულობს.

— თუ მალე გინდა მოგივიდეს პასუხი, ხუთი მარკა უნდა დააკრა თხოვნას და გასამრჯელოსაც...

— რა გასამრჯელო? ერთი თუმანი მომეცი და შენვე შეგაჭმევ.

რაღა ბევრი გავაგრძელოთ, ნიკომ ერთი თხოვნის დაწერა მეცხვარეს 15 მ. დაუსვა და იარაღის ტარების ნება კი დღესაც არ მოსვლია, რადგანაც ბოქაულმა ხელი არ მოაწერა. ამისთანა შეუწყნარებელ ძარცვა მართალია გლეხისავე მეტის-მეტი გამოუცდელობის ბრალია, მაგრამ ბევრს ნიშნავს მწერლის მოქნილობაც. ბევრს მკითხველს არ ეცოდინება, თუ რა ხელოვნურად იციან შეზავება ამ ცბიერებმა ნამდვილ საგლეხოდ ერთად მუქარისა, ალერსისა, იმედისა და დაპირებისა. რა ესა და რა ათასი სხვა! სით წავიდეს საწყალი გლეხი, რომ მწერლისგან გაბმულ ქსელში არ გაჰყოს ფეხი? ამ უბედურების გლეხის თავიდან აცილება არც ისე ძნელია, თუ რომ ყურადღებას აქცევდნენ ისინი, ვისაც ჯერ არს. ამის პირდაპირი მოვალენი არიან მომრიგებელ-შუამავალნი, რადგანაც დღეს იმათ აბარიათ გლეხის ბედიღბალი და ამასთან იმათ თვალწინაც ხდება ეს უსამართლობა. მაგრამ უბედურება იმაშია, რომ ზოგი მომრიგებელ შუამავალნი არც მოთხოვნილების დაგვარად არიან შესაფერი ცოდნით შეიარაღებულნი და არც ენერგიით. მომრიგებელ შუამავალს იმდენად რთული საქმე აბარია, რომ უეჭველად უმაღლესი იურიდიული სწავლა უნდა ჰქონდეს მიღებული, რომ რიგიანად მოაწესრიგოს გლეხის აწეწილ-დაწეწილი საქმე. ჩვენი მომრიგებელ-შუამავალნი კი მომეტებულად ან ისეთია,

რომელსაც შვიდას ორმოცდა-ათი მარჯვალი გაუცვეთია სამაზრო სამართველოში ჯდომით, სანამ მაზრის უფროსის თანაშემწეობას მიიღებდა და მერე, როგორც წარმატებას, მომრიგებელ შუამავლობას, ან და სამსახურიდან გამოსული შტაბს-კაპიტანი, რომელიც კვირაში ხუთ ღამე ნახევარს კლუბში ატარებს და ღამე ნახევარს სახლში. ზოგი მომრიგებელი შუამავალი კიდევ მხოლოდ სტუმრად ეწვევა ხოლმე თავის მრევლს. ერთ ჩემ ნაცნობ მომრიგებელ შუამავალს ასე აქვს გადაწყვეტილი: თვეში ორი კვირა ქალაქში სცხოვრობს, ორი კვირა თავის სამწყსოში. ასე რომ, თითქმის სულ სტუმრობაში ატარებს თავის დროს —ქალაქიდან სოფელში, სოფლიდან ქალაქში. სწორედ კარგია, თქვენმა მზემ! მმართველობა მოვალეა ყურადღება მიაქციოს ამნაირ მოვლენას და მომრიგებელ შუამავლებად დანიშნოს ისეთი ელემენტი, რომელიც უფრო შესაფერია ამ საქმისათვის, როგორც სწავლა-განათლებით, აგრეთვე ხნით და ენერგიით. რამდენია უმაღლეს სწავლა მიღებული, ცოდნითა და სიცოცხლით სავსე, საქმის მოსურნე, რომელიც უადგილობისა გამო მთელი წლობით ან უჯამაგიროდ ემსახურებიან სასამართლოში, ან და მცირე ჯამაგირზედ? ესენი, მე მგონი, დიდის სიამოვნებით წავლენ შუამავლის თანამდებობაზე, რადგანაც თითონ საქმეც ძალიან საინტერესოა სპეციალისტისთვის და ჯამაგირიც შესაფერი აქვთ—160 მ. თვეში. ყველა ის, ვისაც კი შეუძლიან სიტყვით თუ საქმით გაუწიოს რაიმე დახმარება გლეხებს, მოვალეა დროზე მიაქციოს ჯეროვანი ყურადღება მათ ამნაირ ანორმალურ მდგომარეობას და ეცადოს, როგორმე დაიხსნას ამ განსაცდელისგან, რადგანაც გლეხს ამაზე ბევრად თუ გაუჭირდა, ძალიან ძნელი მოსაბრუნებელი-ღა იქნება და ალარაფერშიაც გამოდგება მეტის-მეტად გაძვალტყავებული.

ორიოდე სიტყვა სათ.-აზნ. ბანკის მამულის შესახებ: ამ ბანკს ს. იკოთში (ქსნის ხეობა) დარჩა თ. ორბელიანის მამული, ზომით 606 დესეტინა. ამ მამულში, სხვათა შორის, არის დიდი შენობა, რომელიც შესდგება 10—12 ოთახისაგან. მართალია შენობა ძველია, მაგრამ შიგ ბევრი საღი ხის მასალა და კრამიტი გამოირჩევა. ასე რომ შეიძლება ერთი ნაწილი შენობისა გადაკეთდეს მეორე ნაწილის ხარჯზე ძალიან იაფად. ეს სახლები ბანკისათვის სრულებით უსარგებლოა. ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოება ძალიან კარგა იზამს სთხოვოს ბანკს ამ შენობის დათმობა, გადააკეთოს თავის ხარჯზე და იკოთელებს სკოლა გაუხსნას. საქმე ძალიან სიმპატიური და დიდმნიშვნელოვანი იქნება, რადგანაც ამ სოფელს ზევით ამოდენა ხეობას სკოლა არ აქვს, თუ რომ წ. კ. საზოგადოება ამას იკისრებს, შეიძლება იკოთელებმაც მიიღონ ცოტაოდენი მონაწილეობა.

დიგომელი.

# უცხოეთი

## ისპანია.

გუშინდელ ნომერში ისპანიის შესახებ ცნობა გვქონდა მოყვანილი. ეხლა გუშინდელ ნაამბობს ზოგიერთ რასმეს კიდევ დავუმატებთ.

თუმცა ისპანიის ჯარმა მრავალი რევოლუციონერი გენერლები გამოიყვანა ასპარეზზე, მაგრამ სამაგიეროდ ამავე ჯარმა მისცა სამშობლოს ისპანელი გარიბალდი, გენერალი ესპარტერო, რომელსაც ხალხმა სამეფო გვირგვინი რამდენ ჯერმე შესთავაზა; ამას გარდა სამი გენერალი—პრიმი, სერანო და ტოპეტე ცნობილნი არიან, როგორც 1868 წ. რევოლიუციონერები. ასე ცვალებადია ისპანიის ჯარის ხასიათი. ამიტომ ძნელი მისახვედრია, ვის მხარეს დაიჭერენ იგინი ფერერის საქმეში. გენერლები კონსერვატორების მხარეზე არიან, წვრილი ოფიცრები კი ლიბერალებისაკენ, და ფერერის საქმის ხელ-ახლად გარჩევას თხოულობენ. მიზეზი ის არის, რომ წვრილ ოფიცერთა მდგომარეობა ცუდია. ფერერის საქმის გარჩევა კი მთელი ჯარის მდგომარეობის ავ-კარგიანობას გამოარკვევს.

ამრიგად გარედ სუსტი ჯარი შინა ბატონობს. ეს ჯარი ოფიციალურის ცნობებით 100,000 კაცს შეადგენს; ნამდვილად კი გაცილებით ნაკლებია. მთელ ჯარში 2,300 წვრილი ოფიცერია, 500 პოლკის უფროსი, 300 გენერალი, 6 ფელდ-მარშალი. ამ ჯარის ცუდი მხარე სწორედ ეს არის: აუარებელი მსხვილი ოფიცრობაა და სამხედრო ბიუჯეტის უდიდესი ნაწილი ამათ ჯამაგირს უნდება. ჯარის-კაცთ საძაგლად ინახავენ. შიშველ ფეხზე ქალამნები აცვიათ და ხამის ხალათებში არიან გახვეულნი. იარაღი სათქმელად არა ღირს. თოფებს საფრანგეთისა და გერმანიის ჯარში „შემთხვევით“ პარტიობით ყიდულობენ. თოფები დიდი ხნის ძადავარდნილ სისტემისაა. არტილერია 56 ბატარეისაგან შესდგება, თუმცა 100,000 კაცს 200 ბატარეა მაინც უნდა ჰქონდეს. ციხის ზარბაზნები ისეთებია, რომ აფეთქების დროს სროლას ვერა ჰბედავენ, ეშინიათ არ დასკდესო. მექრთამეობა და ქურდობა ჯარში, ხომ ჩვეულებრივ მოვლენადაა გადაქცეული. შეერთებულ შტატებთან ომის დროს საარაკო ამბები გამოირკვა; აღმოჩნდა, ზარბაზნებით სროლა არ შეიძლებოდა, ჯავშნოსანი გემები ხისა იყო და გარედან თუნუქი ჰქონდა შემოკრული; ჯარს ისეთ პატრონებს ურიგებდნენ, რომ თოფის ყალიბს არ უდგებოდა. ამან დიდი აურ-ზაური გამოიწვია, მაგრამ საქმე ჩაფარცხეს და ძველი გენერლები თავის ადგილას დარჩნენ.

საქმე ჯარაც შეუცვლელია. თუმცა ჯარისათვის საჭირო სურსათი იჯარით იცემა, მაგრამ, იჯარადრებად მაინც ჯარის უფროსების ნათესავები არიან. მთავრობა ქვეყნის კეთილ-დღეობისათვის ზრუნავს, აჭყავს გზები, არხები, ხიდები და ყველაფერი ეს ოთხჯერ-ხუთჯერ მეტი ჯდება.

ქ. მადრიდში დაუჯერებელი ამბები ხდება, მაგრამ ამ ამბებს ისპანელი უცხოეთის გაზეთებიდან იგებს. მადრიდი ჯარის ხელშია და გენერლები ისე განაგებენ, როგორც ციხეს.

ისპანელი ოფიცრობა ეხლა ორ-კლასადაა გაყოფილი. ერთი კლასი უმაღლესია. მას დიდი კავშირი აქვს იმათთან, ვის ხელშიაც იჯარებია; მეორე—დაბალი კლასია. ამის წევრები სამსახურში ნელა მიცოცავენ და იძულებულნი არიან, სულ მცირე ჯამაგირით (80 მ. თვეში) დაკმაყოფილდნენ. ეს ორი კლასი გადამტერებულია ერთმანეთზე. უმაღლესი კლასი—ეგრედ წოდებული „არქიელების შვილები“—კლერიკალებისა და კონსერვატორების მხარეზეა და არსებულ წეს-წყობილების დამცველებად გამოდის. დაბალი კლასი კი —los sufridos —(მომთმენლები) —რეფორმებსა თხოულობს, დემოკრატების მხარეზეა და გულში კი რესპუბლიკანელებს თანაუგრძნობს. შესაძლებელია, რომ ჯარმა კლერიკალებს ზურგი უჩვენოს და სულ სხვა გზას დაადგეს.

### საფრანგეთი

ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ საფრანგეთში სახელმწიფო დალატი აღმოაჩინეს; ეხლა ამ ამბის უმთავრეს პირის მემონის პატარა დახასიათებას მოუთხრობთ მკითხველს.

მემონი ნამოგზაურობით ლევანტიელია ინგლისის გაზეთ „Evenig Times“-ის პარიზელ კორესპონდენტად ითვლებოდა. ყველგან იყო მიღებული. საფრანგეთის გარეშე საქმეთა სამინისტროში თავს შინაურად ჰგრძნობდა და ამ სამინისტროს კანცელარიებში თავისუფლად დაბრძანდებოდა, თუმცა სხვა ჟურნალისტებისათვის ეს შეუძლებელი იყო. მუნირ-ფაშა პარიზში ოსმალეთის ელჩად რომ იყო, მემონი თავს იქაც შინაურულად ჰგრძნობდა. საელჩოში მისი მისვლა მუდამ უხაროდათ. აღმოჩნდა, რომ იგი მუნირ-ფაშის ჯაშუში იყო. პარიზში მყოფ ახალგაზრდა ოსმალებს თვალ-ყურს ადევნებდა. მემონს ეს ხელგაშლილ ცხოვრების ნებას აძლევდა. სტამბოლში აბდულ-ჰამიდის დროს იმის სასურველი სტუმარი იყო და ძვირად აფასებდნენ. ყოფილ სულთანის მდივანმა, იზეთ-ფაშამ მემონს სულთანის ორადი უშოვა, რომლის ძალითაც მემონს ბაღდადის რკინის გზის კონცესია ეძლეოდა. გერმანია თვალ-ყურს ადევნებდა, ეს ხელიდან არ წამივიდესო. ამიტომ გერმანიის იმპერატორი თითონ ჩაერია საქმეში, და სულთანმა მეორე ირადეთი პირველი ირადე მოსპო. როცა ოსმალეთის რევოლიუცია მოხდა, მემონი „შტატს გარეშე“ დარჩა; რის შემდეგაც სცადა ახალ-გაზრდა ოსმალებს მიჰკედლებოდა, მაგრამ აბდულ-ჰამიდის ჯაშუში თავიდან მოიშორეს. მაშინ მემონი ძველ მეგობრებს დაუბრუნდა და მუფირ-ფაშასთან ერთად სცდილობდა, რომ ახალგაზრდა ოსმალებს საფრანგეთისგან სესხი ვერ აეღოთ. 1896 წ. მემონი საფრანგეთის ბაღდადელ კონსულმა გუსტავ რუემ სახლში შეგობრულად მიიღო, რაკი მას არ იცნობდა. ამ დროს გუსტავის შვილი პატარა იყო. როცა წამოიზარდა, მამამ გზაზე სიარული მოინდომა, გარეშე საქმეთა სამინისტროში მსახურებდა და კონსულობის მიღებას სცდილობდა. მემონმა იგი პარიზში მონახა და დაუმეგობრდა. კამათლით მემონმა ახალგაზრდა რუე მალე წაითრია, გარყვნილებასა და უზრუნველ ცხოვრებას შეაჩვია. რუეს ფულები დაეშრიტა, მემონი უზიდავდა და ჰპირდებოდა, რომ რუეს ხელში აქვს ცნობები ბაღდადის გზის შესახებ. მემონს კი ძველი კონცესია ჰქონდა და მის განახლებას სცდილობდა. ქიშპობას უწევდა ქვეყნის მდევებს: ინგლისის, გერმანიის, საფრანგეთის და რუსეთის. თვითეულ ამათგანს ბაღდადის გზის ხელში ჩაგდება სურს. რუეს კაბინეტიდან კარები „ახლო აღმოსავლეთის საქმეთა“ დეპარტამენტში შედიოდა. ამ დეპარტამენტის დირექტორად გრუ იყო.

ამ გრუს ვერც ერთმა ჟურნალისტმა ვერაფერი ათქმევინა.

ეხლა მიხვდნენ, თუ როგორ მოხდა და პორტსმაუთის ხელშეკრულობა ინგლისურმა გაზეთმა „Erenig Times“-მა როგორ გაიგო. ჟურნალისტები გაკვირვებულნი იყვნენ: ვერ მიმხვდარიყვნენ, თუ ვინ და როგორ შეიტყო ის ამბავი და გაზეთსაც შეატყობინა. ეს საქმე მემონის მიერ ჩადენილი აღმოჩნდა. რასაკვირველია, ტყუილად ხომ არ აძლევდა რუეს ფულს. ეხლაც ამავე საქმის განმეორება მოინდომა და რუეს შეეხნდა. რუემ სამსახურისადმი დიდი ერთგულება გამოიჩინა. ყველაზე გვიან მიდიოდა თავის კანცელარიიდან, დიდხანს მუშაობდა და ერთხელაც მოახერხა, დირექტორის კაბინეტში შეიპარა, როცა კანცელარიაში არავინ იყო, და მემონს საჭირო ქაღალდები უშოვა.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

5 აპრილი.

## საზღვარ-გარედ.

ლეგლისი. აგუაპრიეტიან დაბანაკებულ მეამბოხეთა წინამძღოლი გუშინდამ ამერიკის საზღვარზე გადავიდა და ამერიკელების ჯარების უფროსს დაჰნებდა. მოამბოხენი თავიანთ პოზიციებზე დარჩნენ.

მუკდენი. გენერალ გუბერნატორმა სიდღიანმა იაპონიის კონსულს სიტყვიერი პირობა მისცა, რომ შემდეგ მოთხოვნილებებს დაკმაყოფილებთ: 1) სასტიკად დავსჯი იმ ჩინელ პოლიციელებს, რომლებმაც იაპონელებზე თავ-დასხმაში მონაწილეობა მიიღეს. 2) პოლიცმეისტერს საყვედურს გამოუცხადებ, 3) დაჭრილ იაპონელებს დავასაჩუქრებ, 4) გადაჭრით გამოვაცხადებ, რომ ასეთი შემთხვევები აღარ განმეორდეს და 4) ეჩინიანც ბოდიშს მოვიხდით.

ბუხარა. ბუხარის ახალმა ხანმა, ასფენდიარმა, რუსთა დახმარებით ფინანსიური რეფორმები დაიწყო. გადებულ ხარჯების ერთი ნაწილი სკოლებს, საავადმყოფოებს, გზებსა და არხებზე დაიხარჯება.

ნიუ-იორკი. დუგლასიდან ამბავი მოვიდა, აჯანყებულმა აგუაპრიეტი დასტოვეს და მთავრობის ჯარი ქალაქში შევიდა.

ფეცი. ბენიმტირებმა მათიან მოსალაპარაკებლად შერიფის მიერ გამოგზავნილი მოციქულები დაატყვევეს, სცემეს და ისე გაისტუმრეს. დღესით ბენიმტერები ქალაქს მიუახლოვდნენ და წინა რიგის დარაჯებს თავს დაესხნენ. დარაჯებმა ორი კაცი მოუკლეს და შეშ აქციეს. ჯარსაც ორი კაცი მოუკლეს და რამდენიმე დაუჭრეს.

პეკინი. ჰგრიგ დედოფალს დღეს პირველი აუდენცია აქვს მას შემდეგ რაც კლოგა გაათავა. იგი დიპლომატიურ კორპუსის ქალებს მიიღებს.

ტოკიო. ის ხმები, ვითომც რუსეთის იაპონელების მთავრობისათვის მოეთხოვოს, რომ ნაკარაკში მეოფი მეოფი რუსი ნიგილისტები მოგვეცითო, ტყუილი გამოდგა.

დუგლასი. (მექსიკა) აგუაპრიესტან ბრძოლაში მეამბოხეებმა მთავრობის ჯარის პირველი იერიში მოიგერიეს და ახალი სანგრები ამართეს. მეამბოხეთ მცირე ზარალი მოუვიდათ, ჯარებს კი—დიდი. ამერიკის საბაჟოში ტყვიები ცვიოდა. ორი ამერიკელი მოქალაქე დაიჭრა. მექსიკის შტატებში, დურანგოს, კოაგუილასა და ზაკატეკასში, რკინის გზები აურიდია. რევოლიუცია ნელ ნელა იზრდება.

სტამბოლი. შეიხ-ულ ისლამმა გამოსცა ფეტვა რომლითაც ოსმალეთის მთავრობას ნება ეძლევა შიიტების ტაძრებში, რომელიც ვერბელაშია, მლოცველებისაგან შეწირული ძვირფასეულობა გაჰყიდოს. ნაშოვნი ფულით ოსმალელების სკოლა და საავადმყოფო უნდა აშენდეს. ეს გადაწყვეტილება შედეგია ახალგაზრდა ოსმალებ მინისტრის ბაღდადში მოგზაურობისა. ფეტვამ შიიტებში დიდი უთანხმოება გამოიწვია.

## რუსეთი

კიევი. შესრულდა ათასი წლისთავი მას შემდეგ, რაც რუსებმა და ბერძნებმა პირველად დასდეს სავაჭრო ხელშეკრულება. დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად სტამბოლსა და სანსტეფანოსაკენ ორი ექსკურსია გაემგზავრა.

სენატორ ნეიდგარდტის განკარგულებით დაატუსაღეს გზათა ინჟინერი ზარვა. სათავდებოდ 25.000 მან. სთხოვენ. ზარვას რუსანოვის ხიდის აშენების დროს სიყალბე ჩაუდენია.

პიატიგორსკი. გზათ მინისტრი მოვიდა. თან სამთო დეპარტამენტის დირექტორი ახლავს. მინისტრმა წყალთა უწყება და ბალნეოლოგიური დაწესებულებანი დაათვალიერა.

პეტერბურგი. დასავლეთ ექვს გუბერნიების ერობის ხმოსნების ასარჩევად შემდეგი ვადაა დანიშნული: კანდიდატების სია არჩევნებამდის ორი თვითა და 7 დღით ადრე უნდა გამოცხადდეს; სიათა გასასწორებლად განცხადებების შეტანა სიათ გამოცხადების მერე ათი დღის შემდეგ უნდა მოხდეს. სიათა უკანასკნელი გამოცხადება არჩევნებამდის ორი კვირით ადრე უნდა მოხდეს.

რადომი. სადგურზე ლიანდაგის ისარი სწორედ არ იყო დაყენებული და სამგზავრო მატარებელი გადაბრუნდა. 8 ვაგონი დაიმტვრა. მეისრე და ერთი კონდუქტორი დაშავდა.

მოსკოვი. მძარცველთა ბრბო აღმოაჩინეს. ბრბო სისტემატიურად ჰქურდავდა ნიკოლაევისა და მოსკოვის საალქო გზებს. დაატუსაღეს 20 კაცი. ამათში რკინის-გზის მოსამსახურე 13-ა. 12 კაცში 10 კონდუქტორია.

ოდესა. მსწრაფ დახმარების სადგურის ექიმებმა გაზეთებს თხოვნით მიმართეს: მოსწრებულთა თავის მოკვლის ამბავს დაწვრილებით შენიშვნები გაუკეთეთ და მოკვლის იარაღს ნუ ახსენებთო, რადგანაც ახალ-გაზრდობაზე ეს ძალიან ცუდად მოქმედობსო.

ლიბავა. სავაჭრო ნავთ-საყუდარში მუშები გაიფიცნენ, რადგანაც სამუშაო დღე ერთი საათით გაუდიდეს და ქირა კი ისევ ძველი დარჩა.

## ფრანა.

ვერსალი კომბლეს მახლობლად მფრინავი კარონი ჰაეროპლანიდან ჩამოვარდა და სასიკვდილოდ დაშავდა.


# განცხადებანი

◀ მშობიარეთათვის ▶

თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., ხაზებიდ ინსტიტ. პირდაპირ. მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი სამშობიარო მომსვლელთათვის.

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს. (ო.—82)

„სამკაულინი“ თმებისათვის საპონი ექ. დიდიძისა

ყიდება ელისაბედის აფთიაქში (ქსენიევისა და ელისაბედის ქუჩების კუთხე). (წლ.—1152—11)

შემთხვევით ისყიდება მიწა საბურთალოზე 403 ოთხკ. საჟენ., თხინვალ-საგაბაშვილოს ადგილში. პირობების გაგება შეიძლება „სორაპნის“ სტამბაში, ნიკო ქოზაშვილთან. (0—6)

კავკასიური ბუნებრივი კონიაკი „არარატი“

◀ ღირსებით კონკურენციის გარეშე ▶

იყიდება საუკეთესო გასტრონომიულ მაღაზიებში.

დასაკვეთად პირდაპირ ერევანში მიჰმართეთ პატრონს

ს. პ. ედიგაროვს,

ან ტფილისში ბ. მულიარსკის.

(10—1207—4)

კასპები

საკანდიტრო

ა. ი. ალიხანოვისა.

(ვორონცოვის ძეგლთან).

აქვთ საფუარი ცნობილი ზავოდებისა: შურა, მოსკოვისა და სხვა. (1—1221—1)

ბორჯომის საზოგადო საკრებულოში | მაისიდან გაიცემა ბუფეტი.

პირობების შესატყობად შემდეგის ადრესით მიჰმართეთ:

ბორჯომი, ნ. მ. ბალამუტოვს (3—549—1)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების მაღაზიას

პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

ახალ-ახალი ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა). ხიზილალა

ახალი (Зернистая).

პარკისა და კოლოფებით

საუკეთესო ლოშები და ზურგიელები

მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა

გირვანქა 1—40 2 მან.—2 მან. 40 კ.

წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.

და ბელა-რიბიც 50 კ.

აგრე ივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ.—1053—)

საუკეთესო წითელი (Кет.) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა

საუკეთესო წითელი (Кетовая) ხიზილალა